პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 175 (3152)

8

1966 წ. სექტემბერი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

უკანასკნელ სიახლეებს

◆ პრაღა, 7 სექტემბერი. ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე დღეს პირველ ტატიში ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-სა და პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და მარჯვეს გერმანელმა სპორტსმენებმა — 3:0. რუმინეთის ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი — 3:1.

◆ ბელგრადი, 7 სექტემბერი. დღეს ბლედის ტბაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა აკადემიურ ნიჩბოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 31 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიან.

მსოფლიო რეკორდები ცაში

ერთბაშად ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ორენბურგის დოსაააფის მფრინავმა ქალმა, მსოფლიო რეკორდსმენმა თ. ლარინამ. მან შვეულმფრენზე — „მი-1“ დაბშული მარშრუტის 1000-კილომეტრიან დისტანციაზე განავითარა 136 კილომეტრზე მეტი სისწრაფე საათში. ეს მსოფლიო მიღწევაა. ამ გაფრენის დროს ლარინამ დაამყარა აგრეთვე სიშორეზე ფრენის რეკორდიც — 1004 კმ. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა საბჭოთა სპორტსმენ ტ. რუსიანს. იგი 200 კილომეტრით გაუმჯობესდა,

ამ შედეგების მსოფლიო რეკორდებათ დამტკიცებისთვის თ. ლარინას მიღწევების საბუთები გადაეგზავნება საავიაციო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას.

ყველაფერი — სპორტსმენებისთვის

ლენინგრადის იმ საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც საგანგებოდ სპორტსმენებისთვის ამზადებენ ინვენტარსა და ტანსაცმელს, საბრძოლო ამოცანად დაისახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ“. საკდესის კორესპონდენტებმა ქარხანა „სპორტის“, ფირმების — „სკოროხოდისა“ და „კრასნი ტრეუგოლნიკის“ ხელმძღვანელებს სთხოვეს ეამბნათ, რას უმზადებენ ახლო მომავალში ჩვენს ფიზკულტურელებს.

● ტყავის ბურთის ტრიუმფი

შავ-თეთრი ბურთი, რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა საერთაშორისო სარბიელზე, ექსპერიმენტული ქარხნის — „სპორტის“ პირმშოა. ახლა იგი სისტემატურად იგზავნება ნეგვის ნაპირებიდან ავღანეთში, ბულგარეთში, მონღოლეთში, რუმინეთში, აფრიკის ქვეყნებსა და თვით ფეხბურთის სამშობლოში — ინგლისშიც კი. ქარხანა ყოველწლიურად 200 ათას ცალ ბურთს უშვებს ფეხბურთისთვის, ფრენბურთისთვის, წყალბურთსა და სხვა სახეობებში შეჯიბრებებისთვის.

„სპორტი“ ყოველწლიურად 800 შტანგას ამზადებს. აქედან 500 საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება. სწორედ ამ შტანგებით ასპარეზობდნენ ბოლო სამი ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენები. ლენინგრადის ქარხანა ამზადებს ტანსაცმელს თითქმის ყველა საბჭოთა სპორტსმენისთვის. საგანგებო ფორმები იკერება მომავალი, საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპარტაკიადის მონაწილეებისათვის.

სულ საწარმო 240 დასახელების ნაკეთობას უშვებს. სხვადასხვა ელექტროხელსაწყოს დროის ფიქსირებისათვის, ციგურებს, შტანგებს, ჩოგნებს, სალტეებს, სპორტულ ტრიკოტაჟს. ქარხანა შეკვეთებს ღებულობს 70 სხვადასხვა ქვეყნიდან.

● „სკოროხოდი“ — ფეხმარდებს

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდეს ფირმის „სკოროხოდის“ ნაწარმი მოთხილამურეების, ჰოკეისტების, მოციგურავეებისა და ფიგურული სრიალის ოსტატებისთვის არის განკუთვნილი. ერთ-ერთი მისი საწარმოს კონვეიერიდან ყოველდღიურად სამი ათასი წყვილი ყელიანი ფეხსაცმელი ჩამოდის. ისინი განკუთვნილია დამწყებთათვის, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის და მათთვისაც, ვინც ყინულოვან ბილიკებსა და სათხილამურო ტრასებზე უკვე რეკორდებს ამყარებს.

ფიგურული სრიალის ოსტატების ფეხსაცმელი მოხდენილია, ფაქიზად ნაკერი, მოთხილამურეებისა გამძლე, მოხერხებული, ჰოკეისტების ფეხსაცმელი კი განსაკუთრებით „აღჭურვილია“, მაგრამ ყველა ერთნაირად ლამაზი და მუბუქია.

● ახალი კომპლექტი

„კრასნი ტრეუგოლნიკის“ კონსტრუქტორებმა ახალი საჩუქარი მოუმზადეს წყალქვეშეთის „ფარფლთათინან“ დამპყრობთ. ეს გახლავთ კომპლექტი „ამფიბია“. ნიღაბი საგანგებო რეზინისგანაა დამზადებული, დამცველი გოფრირებულია. ორიგინალურადაა შესრულებული სასუნთქი მილის სატუჩე. ახალი მოდელის ფარფლებს მაგარი, ჩვეულებრივზე ფართო ფრთები აქვს.

საზოგადოება „ტრუდის“ სპორტსმენებმა გამოცადეს ახალი მოდელი და საუკეთესო შეფასება მისცეს მას. „ამფიბია“ წარმოდგენილი იქნება ფინეთის საერთაშორისო გამოფენაზე.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲐᲕᲡ

საიუბილეო კონგრესზე

მძლეოსნობაში კონტინენტის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ბუდაპეშტში გაიმართა სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ფედერაციის პრეზიდენტი ეკსეტერი. ეს იყო XXV საიუბილეო კონგრესი, რომელმაც განიხილა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. ცხარე დისკუსია გამოიწვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინადადებამ, რომელიც ითვალისწინებდა სხვა კონტინენტებზეც შეიქმნას რეგიონალური ორგანოები, რომელიც ევროპული კომისიის მსგავსი იქნება. ბევრი დელეგატის მხარდაჭერის მიუხედავად, ეს წინადადება არ მიიღეს.

კონგრესმა თავის საბჭოს დაავალა შექმნას კომისია, რომელიც ცვლილებებს შეიტანს დებულების ზოგიერთ მოძველებულ პუნქტში. კონგრესმა უარყო იაპონიის წინადადება მსოფლიო პირველობათა ჩატარების შესახებ. გადაწყდა, რომ დაწყებული 1969 წლიდან ევროპის პირველობა ჩატარდება ყოველ მეორე წელს. ამის გამო აზიისა და აფრიკის ბევრმა დელეგატმა სურვილი განაცხადა ევროპის პირველობები ღია შეჯიბრებებად იქნას გამოცხადებული, რათა მათში მონაწილეობა შეეძლოთ სხვა კონტინენტების სპორტსმენებსაც. ეს წინადადებაც უარყვეს.

კონგრესმა განიხილა ოლიმპიური საკითხები. მექსიკის წინადადებით, ოლიმპიურ თამაშებში მძლეოსანთა შეჯიბრებები ჩატარდება ხელოვნურსაფარიან ბილიკებზე. საწვრთნელ ბილიკებსაც აგრეთვე ხელოვნური საფარი ექნება.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის ქვეყნების წევრებმა აირჩიეს კომისიის ხელმძღვანელობა. თავმჯდომარე გახდა ა. პაულენი (ჰოლანდია), საპატიო მდივანია ა. ტაკაჩი (იუგოსლავია), კომისიის 13 წევრს შორის არის სსრ კავშირის წარმომადგენელი. ეს არის ლ. ხომენკოვი.

კონგრესმა მადლობა გადაუხადა უნგრეთის სპორტულ ორგანიზაციებს ევროპის პირველობის ჩინებულად ჩატარებისთვის.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲐᲡᲐᲮᲘᲜᲯᲚᲔᲑᲘ

პრაღაში გრძელდება ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. დიდ ინტერესს იწვევდა ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1 (15:11, 15:6, 12:15, 15:8). მოიგეს რა ამ დაძაბული და საინტერესო მატჩის პირველი ორი პარტია, ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა მესამე პარტიაში უკვე ვეღარ მოიგერიეს რუმინელ სპორტსმენთა გამუდმებული იერიშები და დამარცხდნენ. მომდევნო პარტიაში კი, მათ თავიდან აღებული ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ და გამარჯვებულებმა დატოვეს სარბიელი.

ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ არ განუცდია დამარცხების სიმწარე. მან მოაგროვა ექვსი ქულა და ლიდერობს გათამაშებას. ერთი ქულით ნაკლები აქვთ მის უახლოეს მეტოქეებს — სსრ კავშირისა და იაპონიის გუნდებს.

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

4 ქალაქში

ვილნიუსში, ირკუტსკში, კრასნოდარსა და ორიოლში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა ნახევარფინალური ტურნირები. ლიტვის დედაქალაქში უკვე მოეწყო 15 ტური. ამის მიუხედავად, ფინალისტის დასახელება ძალზე ძნელია, რადგან ფინალში გასვლის შესაძლებლობა აქვს მონაწილეთა ერთ მესამედს. ჯერჯერობით წინა ტალინელი ი. ნეი, რომელსაც 10 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან დიდოსტატი ა. სუეტინი (მინსკი) და საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო).

ფინალში გასვლისთვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს ირკუტსკის ნახევარფინალში. აქ დაწინაურდა კიეველი ოსტატი ი. ნიკოლაევსკი. მას ახლა 11,5 ქულა და ფინალში გასვლა აქვს განაღდებული. ლიდერს ფეხდაფეხ მიყვება სარატოველი დიდოსტატი ნ. კროგიუსი — 10 ქულა. ვ. ლიბერზონს (მოსკოვი) 9,5 ქულა აქვს. ამ სამეულს ოდნავ ჩამორჩებიან ი. სახაროვი (უკრაინა) — 9 ქულა, ბ. გურგენიძე — 8,5, ვ. ბაკულინი (მოსკოვი), ჟიდკოვი (ზაპოროჟიე), ა. შმიტი (რიგა) — 8-8 ქულა თვითეულს.

კრასნოდარში ლიდერობენ ლატვიის ჩემპიონი ა. გიპსლისი (7,5 ქულა) და ა. ლეინი (ლენინგრადის ოლქი) — 6,5. ცხრილში მათ მეზობლად განლაგდნენ: საერთაშორისო ოსტატი ე. გუფელდი (კიევი), რსფსრ-ს ჩემპიონი ვ. პერგიევსკი (ჩებოქსარი), ოსტატობის კანდიდატი გ. არაქელიანი (ერევანი) — 5,5-5,5 ქულა თვითეულს.

ორიოლში წინ არიან ხარკოველი ვ. სავონი, რ. ხოლმოვი (სოჭი) — 6,5-6,5 ქულა. ა. ლუტიკოვსა და ვ. ტუმპაკოვს 5-5 ქულა აქვთ.

აგვისტოს დამლევს უტრეხტში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატში ტრამპლინიდან წყალში ხტომა იმდენად დაძაბულად მიმდინარეობდა, რომ შვიდმა წინასწარმა ნახტომმა უპირატესობა ვერავის მოუტანა. მხოლოდ ფინალური ასპარეზობისას იჩინა თავი მ. საფონოვის (სსრ კავშირი) სრულყოფილმა ტექნიკამ, რის წყალობითაც მან თანდათან უკან ჩამოიტოვა ძირითადი მეტოქეები იტალიელი გ. კანიოტო და შვედი ტ. ანდერსონი. საბჭოთა სპორტსმენმა საბოლოოდ 155,27 ქულა მოაგროვა და მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი. II პრიზიორმა — ანდერსონმა 146,30 ქულა მოაგროვა, III იყო კანიოტო — 146,21.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მარცხნიდან მარჯვნივ — ტ. ანდერსონი, მ. საფონოვი და გ. კანიოტო.

ფოტო აპ-საკდესისა.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲕᲘᲬᲧᲔᲡ მე-2 გვ. ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ მე-2 გვ.
ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ მე-3 გვ. ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐᲕᲘ
ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ მე-4 გვ. ᲰᲔᲓᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲙᲕᲓᲐᲕ ᲘᲜᲒᲓᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲕᲐ მე-4 გვ. ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ
ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲡ მე-4 გვ.

ᲓᲚᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ:

ჯილდოები ღირსეულთ

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში აქტიური მუშაობისთვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საპატრო სიგელით დაჯილდოვდნენ:

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო.

ლენინის ორდენოსანი „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო.

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო.

* * *

1965 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებაში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ბათუმის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

ბათუმის რაიონის ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

აჭარის ასსრ „დინამოს“ № 1 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

აჭარის ასსრ „დინამოს“ № 21 გაერთიანებული ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („ვოდნიკი“).

ბათუმის გემსაშენი ქარხნის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („განთიადი“).

აფხაზეთის სსრ „დინამოს“ № 8 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

ქუთაისის ავტოქარხნის სპორტული კლუბი „კოლხიდა“ („განთიადი“).

ქუთაისის სამთო ტექნიკუმის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

ქუთაისის „დინამოს“ № 1 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

ქუთაისის „დინამოს“ № 2 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

ახალციხის „დინამოს“ ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

ფოთის ქარხანა ელექტრომანქანურგამაძლიერებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („განთიადი“).

რუსთავის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის გაერთიანებული ფიზიკური კულტურის კოლექტივი („განთიადი“).

რუსთავის „დინამოს“ № 2 გაერთიანებული ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

რუსთავის „დინამოს“ ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კლუბი („ბურევესტნიკი“).

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ფიზიკური კულტურის კოლექტივი („განთიადი“).

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ ფიზიკური კულტურის კოლექტივი („განთიადი“).

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („განთიადი“).

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტული კლუბი „გამარჯვება“ („განთიადი“).

თბილისის 43-ე სკოლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

თბილისის 77-ე სკოლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბი („ბურევესტნიკი“).

თბილისის საავგონო დეპოს ფიზიკური კულტურის კოლექტივი („ლოკომოტივი“).

თბილისის სალოკომოტივო დეპოს ფიზიკური კულტურის კოლექტივი („ლოკომოტივი“).

თბილისის სპორტული კლუბი „ელმავალი“ („ლოკომოტივი“).

თბილისის „დინამოს“ № 1 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

თბილისის „დინამოს“ № 2 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

თბილისის „დინამოს“ № 4 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

თბილისის „დინამოს“ № 6 ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

თბილისის „დინამოს“ № 1 გაერთიანებული ფიზიკური კულტურის კოლექტივი.

თბილისის № 5 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („შრომითი რეზერვები“).

თბილისის № 26 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („შრომითი რეზერვები“).

თბილისის № 38 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („შრომითი რეზერვები“).

თბილისის № 18 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („შრომითი რეზერვები“).

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („შრომითი რეზერვები“).

სურამის № 14 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („შრომითი რეზერვები“).

თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმ „ცეკავშირის“ ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

თბილისის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

თბილისის წყალსადენის სამმართველოს ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

თბილისის № 2 მსუბუქი ტაქსომოტორების კანტორის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („სპარტაკი“).

თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის საქალაქო სამმართველოს სპორტული კლუბი „სინათლე“ („სპარტაკი“).

მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

ქარელის რაიონის სოფელ დირბის კოლმეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისის ყურძნის საბჭოთა მეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის ყურძნის საბჭოთა მეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

გარდაბნის რაიონის ავჭალის მერძევეობა-მემბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

ზუგდიდის რაიონის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის ფიზიკური კულტურის კოლექტივი („კოლმეურნე“).

გაბუტული აქტივისტები

რედაქციაში წერილი შემოვიდა, საყურადღებო ნაკლოვანებათა მამხილებელი. იგი სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობიდან იყო გამოგზავნილი. ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის ნაკლოვანებებზე გვწერდნენ.

ბაშში ჩავედით. სპორტს ჩვენთან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავსო, გვითხრეს მეურნეობის ხელმძღვანელებმა. ეს სიტყვები ჭეშმარიტებას მოკლებული როდი გახლდათ.

ჯერ კიდევ 1926 წელს ბაშის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ ს. კუჭუხიძემ სპორტის მოყვარულ ახალგაზრდობას მოუყარა თავი. თავდაპირველად ფეხბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბეს. ერთი წლის თაგზე უკვე სამტრედიის საკმაოდ ძლიერ გუნდებთან ცადეს ძალა. მერე ქუთაისი, წყალტუბო, ვანი, ბაღდადი... სოფელი სიხარულით სვდებოდა შინ დაბრუნებულ გამარჯვებულ ჭაბუკებს. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი სპორტულ საღამოებსა და დღესასწაულებს. ეწყობოდა საჩვენებელი გამოსვლები, იწვევდნენ გამორჩეულ სპორტსმენებს...

1964 წელს ბაშის ფიზკულტურულმა კოლექტივმა საბჭოთა მეურნეობებს შორის გამართულ რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებაში II ადგილი დაიკავა და 150 მანეთი ფულადი პრემიაც მიიღო. შარშან რაიონის პირველობაზე ისახელეს თავი: ფეხბურთში, ფრენბურთში და სროლაში II საპრიზო ადგილზე გავიდნენ. წლეულს კი... მუშაობა ერთბაშად ჩაიშალა. წერილის ავტორი ამას მეურნეობის დირექციის გულგრილობით ხსნიდა. საყვედურობდა მეთოდისტისთვის ფულის გადახდა არ სურთო. 1963 წლამდე ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობა საზოგადოებრივ საწყისებზე იყო დაფუძნებული. იმ წელიწადს დირექციამ ფიზკულტურის სპეციალისტი ა. კუჭუხიძე აიყვანა მეთოდისტად. მისი ხელი მართლაც დაეტყო კოლექტივს. მაგრამ 1965 წელს კუჭუხიძე ფიზკულტურის აქტივიტმა ს. ცქიტიტვილმა შეცვალა. მან წლეულსაც იმუშავა 4 თვე, მერე კი გაათავისუფლეს, ვინაიდან დირექცია საშტატო ერთეულს არადანიშნულებისამებრ იყენებდა (მეთოდისტის შტატი მეურნეობას არ ჰქონდა, ვინაიდან იგი სულ 450 მუშა-მოსამსახურეს ითვლის და ცქიტიშვილს ხელფასს სხვა თანხიდან უხდიდნენ).

იწყინეს აქტივისტებმა, თუ გასამრჯელოს არ მივიღებთ, თავი რად შევიწუხოთო, გაიბუტნენ და რიგრიგობით გადაუდგნენ კოლექტივს. ასე იჩინა თავი სამი წლის წინათ დაშვებულმა შეცდომამ.

ფიზკულტურის კოლექტივის საბუთები რომ მოვითხოვეთ, გვეთხრეს, ყველაფერი თავმჯდომარესთან ინახება, ის კი მივლინებაშიაო. მეურნეობის ხელმძღვანელებმა რამდენიმე ახალგაზრდაც კი გაგვაცნეს, როგორც საზოგადოებრივი მწვრთნელები, მაგრამ... სექციის ჟურნალები და სამუშაო გეგმები მათ არ აღმოაჩნდათ. ამ ახალგაზრდებმა სიმორცხვე მანამ არ გაგვიმხილეს, სანამ ჩვენი თვალით არ ვიხილეთ გაფერანგული სტადიონი.

მინდვრის განაპირას ობლად აღმართულ ორ ძელზე მიგვითითეს, იქ ფრენბურთის მოედანი არსო. აბიბინებულ ველურ ბალახში ძლივს მივაკვლიეთ სახტომ ორმოს. რაღა ეთქმოდათ!

სამტრედიის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა რ. შენგელიამ გვითხრა, ბაშელ ფიზკულტურელებისთვის არც მხარდაჭერა მოგვიკლია და არც ქება (სხვათა შორის, მეურნეობაში გვიჩვენეს სპორტული ფორმის კომპლექტი, რომელიც კომკავშირის რაიკომს მათთვის საჩუქრად გადაუცია), მაგრამ ამ ბოლო ხანებში ძალზე შეუშვეს ხელი მუშაობას და განსწრახული გვაქვს ამ დღეებში ბიუროზე მკაცრად ვიმსჯელოთ ამ საკითხზეო.

მართლაც რომ ეკუთვნით საყვედური ბაშელ სპორტსმენებს კარგი ტრადიციის მივიწყებისთვის.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ბაში,
სამტრედიის რაიონი.

სურათზე: თბილისის იპოდრომზე ამას წინათ გამართული შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.



ფიზკულტურული

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ფიზკულტურის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად უნდა გადაკეთდეს.

რა დაედო საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას, რა პერსპექტივებს სახავს იგი ფიზკულტურული მეცნიერების შემდგომ განვითარებაში, რა ამოცანები დგას ახალი ინსტიტუტის წინაშე? აი, ამ კითხვებით მიმართა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ინსტიტუტის დირექტორს ა. კოროტკოვს.

—ეს გადაწყვეტილება, — მიუგო კორესპონდენტს კოროტკოვმა, — ძირეულადაა დაკავშირებული იმ გენერალურ ამოცანასთან, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სასავს. საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას ჭეშმარიტად სახალხო ხასიათი უნდა ჰქონდეს. იგი უნდა ეყრდნობოდეს ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას და თანაბრად უნდა მოიცავდეს მთელს მოსახლეობას, დაწყებული ბავშვებიდან.

ლაპარაკია ახალი, უფრო სრულყოფილი, ყოვლისმომცველი სისტემის დამუშავებაზე, ფიზკულტურული მეცნიერების უდიდეს განვითარებაზე. ამ გეგმების განხორციელებაში ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს უპირველესი როლი ენიჭება.

დღევანდლამდე ფიზკულტურის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი თავისებური „მეთაური“ დაწესებულება იყო და ფიზკულტურული მოძრაობის განსაზღვრულ პრობლემებზე მუშაობდა. სხვა თემებს ამუშავებდნენ ლენინგრადისა და თბილისის ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი კი უნდა იქცეს ფიზკულტურული მეცნიერების ხელმძღვანელ ცენტრად. საკავშირო მასშტაბით. ეს რა თქმა უნდა, სხვა ინსტიტუტების ავტონომიის უარყოფას არ ნიშნავს, მაგრამ მათთან მჭიდრო კავშირსა და სამეცნიერო მუშაობის ყოველმხრივ კოორდინაციას კი უზრუნველყოფს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ჩვენს მეცნიერ მუშაკებს ავალდებულებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის უმნიშვნელოვანეს სოციოლოგიურ, პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო-ბიოლოგიურ და ორგანიზაციულ პრობლემებს. საქმეში უნდა ჩაებან სწავლულთა ჯგუფები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიები და ინსტიტუტები, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა და სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიები. ჩვენმა ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს ამ დაწესებულებებთან ერთობლივი მუშაობის გეგმის დამუშავება. მათ შორის შრომის რაციონალური განაწილება, ნაყოფიერი კონტაქტი, სამეცნიერო ინფორმაციების და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

● თუ შეიძლება, გვიამბეთ, რა მიგაჩნიათ უმთავრესად ინსტიტუტის მუშაობაში, რა სიახლეა მოსალოდნელი ამ მხრივ?

— პირველ ყოვლისა, სოციოლოგიური კვლევა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის შესაძლებლობები, პირობები, ინტერესი და მისწრაფება სულ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის, სულ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. ეს უნდა მოხდეს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, როგორც წარმოებაში, კოლექტივში, ისე ოჯახად, შინ.

ეს მუშაობა უკვე დაიწყო. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან შეიქმნა ფიზკულტურული მოძრაობის სოციოლოგიური პრობლემების ლაბორატორია, რომელსაც პროფესორი გ. კუკუშკინი ხელმძღვანელობს. გამოცდილი მეთოდისტი, დოცენტი ნ. ოსიპოვი მუშაობს საბჭოთა ადამიანის ფიზიკური აღზრდის ახალ სისტემაზე. ცხადია, ამ მხრივ მუშაობის პროგრამა და მოცულობა მომავალში გაცილებით გაფართოვდება.

ჩვენი მუშაობის მეორე მიმართულება ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტის განვითარებაა. მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხი ახლებურად უნდა დაისვას. მოსწავლეთა ყოვლმხრივ ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობის განმტკიცებას, დიდი სპორტისთვის რეზერვის მომზადებას უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს.

უთუოდ უნდა გადაიჭრას სპორტული ტალანტების სწორი შერჩევისა და გამოვლენის, ჰარმონიული განვითარებისა და სპორტული სპეციალიზების პრობლემა, ნორჩი სპორტსმენების მორა-

საქართველოს ჩემპიონატი

4 სექტემბერს გაიმართა ფინალური ეტაპის მორიგი მატჩები.

I-X ადგილები

● **„სინათლე“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 4:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).**

თავდაპირველად უპირატესობა „სინათლის“ მხარეს იყო, მაგრამ მისი თავდამსხმელების უხეირო დარტყმების გამო პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ თბილისელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და აი, 50-ე წუთზე გოლი გაიტანა კანდელაკმა. რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმრების ერთ-ერთმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. დარჩენილ დროში „სინათლემ“ ანგარიში ოთხამდე გაზარდა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. აღსანიშნავია ცხაკაიელთა მეკარე მარინის სუსტი თამაში.

● **„მერცხალი“ (მახარაძე) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).**

... თამაშის მე-20 წუთზე თბილისელთა თავდამსხმელმა პეტროსიანმა კარში დაარტყა. ზესტაფონელთა მეკარე ზაქაიძეს ბურთი ხელიდან გაუსხლტა... მას იმავე პეტროსიანმა მიუსწრო და ანგარიში გახსნა. ზესტაფონელები საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ. მათი ერთ-ერთი იერიშის დროს სტუმართა მცველმა გეგეშიძემ და მეკარე ბეჟანიშვილმა ვერ გაუგეს ერთმანეთს და ბურთი მათი კარის ბადეში აღმოჩნდა. შემდგომში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გაზრდა.

● **„გურია“ (ლანჩხუთი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).**

მასპინძლებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, განსაკუთრებით შესვენებამდე, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვეს. 51-ე წუთზე ლანჩხუთელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც „განთიადმა“ ზუსტად გამოიყენა. ამ წარუმატებლობამ ლანჩხუთელებს „ცივი წყალი“ გადაასხა. ისინი გაშმაგებით ეკვეთნენ მეტოქის საჯარიმო მოედანს და ჯორბენაძემ ანგარიში გაათანაბრა.

● **„მესხეთი“ (ახალციხე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:2. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. მე-14 წუთზე ტოსკანიანმა ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში ახალციხელებმა კიდევ 1 ბურთი გაიტანეს და... დამშვიდდნენ. ამით ისარგებლეს ქობულეთელებმა და 68-ე წუთზე ერთი გოლი გაქვითეს. ხუთიოდე წუთის შემდეგ ქობულეთელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ ახალციხელებმა ვერ გამოიყენეს იგი. შეხვედრის მიწურულში „შუქურამ“ მეორე საპასუხო გოლი გაიტანა და შეხვედრაც ფრედ დამთავრდა.

XI-XXIV ადგილები

● **„ოდიში“ (ზუგდიდი) „ირისტონი“ (ცხინვალი) 1:1. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).**

● **„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1. მსაჯი რ. ლაზიშვილი (ბათუმი).**

● **„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ქართლი“ (გორი) 2:0. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).**

● **„დინამო“ (ქუთაისი) — „ნარინჯი“ (ბათუმი) 3:3. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

მიუხედავად გოლების უხვი მოსავლისა, თამაში უინტერესო გამოდგა. მე-12 წუთზე ანგარიში გახსნა ბათუმელმა ნოდიამ. ეს გოლი პირველ ტაიმში ერთადერთი გამოდგა. შესვენების შემდეგ კინწურაშვილმა მეორედ შეარხია ქუთაისელთა კარის ბადე. დარჩენილ დროში ბათუმელები ზედიზედ რამდენიმე შეცდომას უშვებენ, რასაც წარმატებით იყენებენ მასპინძლები. ახლა უკვე ისინი დაწინაურდნენ — 3:2. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ბათუმელებმა ანგარიშის გათანაბრება.

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 4:1, „შირაქი“ (წითელწყარო) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:2. „თრიალეთი“ (წალკა) — „არაგვი“ (მცხეთა) 2:1, „სამცხე“ (აწყური) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ალაზანმშენი“ (თელავი) 1:0.

II ზონა

„მშენებელი“ (ჭიათურა) — „ზემო ქართლი“ (ხაშური) 2:4, „ლაითური“ (მახარაძე) — „ცისკარა“ (ბათუმი) 2:0, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „აერო“ (გალი) 0:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „სულორი“ (ვანი) 0:3, „კოლხეთი“ (ხობი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:1.

ფეხბურთში სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის პირველ წრეში ქუთაისის ტორპედოელები იმედისმომცემად თამაშობდენ და უსიამოვნებაც ბევრს განაცდევინეს, მაგრამ მერე ზედიზედ რამდენიმე მატჩი წააგეს და აუტსაიდერებს ისე მიუახლოვდნენ, რომ სახიფათო ზონამდე, ასე ვთქვათ, ერთი ნაბიჯიღა აკლდათ. ცხადია, „ა“ კლასის დატოვება უველაზე უსიამოვნო პროცედურაა, ამიტომაც „ტორპედომ“ ბოლო თამაშებში თავი დააღწია კრიზისს და შეხვედრებს მეტი მონდომებით ატარებს. ასე იყო ერევნის „არარატთან“ ამას წინათ ქუთაისში ჩატარებულ მატჩშიც. მასპინძლებმა სტუმრების დამარცხებით (3:1) არა მარტო I წრეში წაგებისთვის (0:1) აიღეს რევანში, არამედ ლამაზი, კომბინაციური ფეხბურთიც აჩვენეს. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ამ მატჩით დაგვანახვეს, რომ თუ ისინი მონდომებით ითამაშებენ, მიზანს ხშირად მიაღწევენ.

* * *

სურათზე: ქუთაისისა და ერევნის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო გ. სახელაშვილისა.



ᲥᲐᲚᲗᲐ ᲧᲕᲐᲚᲐ

● **პარიზი, 6 სექტემბერი.** 100-უკრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტთა შეჯიბრების 13 ტურის შემდეგ ლიდერობენ ჩვენი დიდოსტატები ვ. შჩოგოლევი და ა. ანდრეიკო, აგრეთვე, 16 წლის ჰოლანდიელი ტ. სეიბრანდსი. ტურნირის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

● **დუგავპილსი, 6 სექტემბერი.** ერთადგილიანი ვერცხლისფერი პლანერი „კა-6“, რომელსაც კომკავშირელი ი. ბოგდანოვი მართავდა, ჰაერში აიჭრა და გეზი კალინინგრადისკენ აიღო. როცა მიზანი სულ ახლოს იყო, ჰაერის ძლიერმა ნაკადმა პლანერს ფრენის მიმართულება შეუცვალა და იგი პოლონეთის სახელმწიფო საზღვრისკენ „გააჭროლა“. სპორტსმენმა დიდი ოსტატობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა, წინააღმდეგობას თავი დააღწია და პლანერი პოლონეთის ქალაქ სუვალკის ახლო დასვა. პოლონელმა მეგობრებმა ბოგდანოვს სამუთები გაუფორმეს და მისი ადგილსამყოფელი დაუგავპილსის საავიაციო სპორტულ კლუბს შეატყობინეს. ბოგდანოვმა ჰაერში 6 საათი დაჰყო და 400 კილომეტრამდე იფრინა.

● **რომი, 6 სექტემბერი.** „სპორტული ფიზიოპათოლოგია საშუალო სიმაღლეზე“, — ასეთია სპორტული მედიცინის საერთაშორისო კონგრესის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. ეს კონგრესი გაიმართება გაისად, 3-დან 8 ოქტომბრამდე, ჰავანაში. კონგრესის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარება გადაწყდა სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც იტალიის დედაქალაქში გაიმართა.

● **ნალჩიკი, 6 სექტემბერი.** რუსულ შაშში სსრ კავშირის ქალთა X ჩემპიონატის ფინალში 6 ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი და 6 პირველთანრიგოსანი მონაწილეობს. შარშანდელმა ჩემპიონმა ი. სპასკაიამ (დიდოსტატ ბ. სპასკის და) თავისი ტიტული სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონ ს. ოგოროდნიკოვასთან და სხვა გამოცდილ ოსტატებთან ბრძოლაში უნდა დაიცვას.

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„დურუჯი“ (ყვარელი)	19	13	3	3	44—13	29
„ალაზანმშენი“ (თელავი)	17	11	2	4	30—22	24
„ბარეჯი“ (ხაგარეჯო)	15	10	2	3	26—15	22
„მეტალურგი“ (რუსთავი)	19	8	5	6	31—28	21
„შირაქი“ (წითელწყარო)	16	5	6	5	19—22	16
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	16	4	8	4	15—18	16
„არაგვი“ (მცხეთა)	17	5	6	6	29—32	16
„ჰერეთი“ (ლაგოდეხი)	17	6	3	8	23—21	15
„სამცხე“ (აწყური)	15	4	7	4	21—26	15
„თრიალეთი“ (წალკა)	15	5	4	6	10—14	14
„არაგვი“ (დუშეთი)	18	1	3	14	19—47	5

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 სექტემბრისათვის

II ზონა

„ლაითური“ (მახარაძე)	19	13	5	1	27—11	31
„აერო“ (გალი)	19	11	7	1	37—15	29
„სამგურალი“ (წყალტუბო)	19	10	5	4	38—23	25
„კოლხიდა“ (ხობი)	20	9	5	6	35—21	23
„სულორი“ (ვანი)	18	7	7	4	25—18	21
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	19	8	5	6	23—30	21
„ცისარტყელა“ (თბილისი)	19	10	0	9	29—25	20
„ზემო ქართლი“ (ხაშური)	19	7	5	7	37—27	19
„საირმე“ (მაიაკოვსკი)	19	7	5	7	33—31	19
„ჩიხურა“ (საჩხერე)	20	7	4	9	30—32	18
„კოლხიდმშენი“ (ფოთი)	20	4	3	13	26—46	11
„მშენებელი“ (ჭიათურა)	19	4	1	14	22—53	9
„ცისკარა“ (ბათუმი)	20	1	2	17	10—40	4

მეცნიერების ცენტრი

ლური აღზრდის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში წვრთნის სისტემის სრულყოფის პრობლემა.

ინსტიტუტის მესამე ამოცანა კი უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენებისა და საერთაშორისო კლასის ოსტატების მომზადების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება გახლავთ.

თქვენ მეკითხებით, რაში გამოიხატება ფიზიკური აღზრდის პრობლემების ახლებურად დაყენება? ვიცდები ეს ცალკეული მაგალითების მიხედვით ავხსნა.

ჩვენ ვცხოვრობთ XX საუკუნის მეორე ნახევარში, მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული განვითარების ეპოქაში, მიკროსამყაროს საიდუმლოებათა წვდომისა და კოსმოსის, ელექტრონიკის, კიბერნეტიკისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინებისა და წარმოების დარგების განვითარების ეპოქაში. განა არ არის დღეს აქტუალური პრობლემა — სპორტი „ადამიანისა და ტექნიკის“ სიხლეში? რასაკვირველია, აქტუალურია. დღეს ადამიანს მექანიზაციისა და მანქანების გარემოცვაში სულ სხვადასხვა, ზოგჯერ სრულიად უჩვეულო ვითარებაში უხდება მუშაობა. აქედან გამომდინარეობს, მაგალითად, ადამიანის სხეულის გამძლეობის პრობლემა, კერძოდ, ჟანგბადის უკმარობის პირობებში. ეს პრობლემა აღელვებს სხვადასხვა ქვეყნის სწავლულებს არა მხოლოდ მეხიკოს მომავალი ოლიმპიური თამაშების გამო. მთავარი ის გახლავთ, რომ ახლა ადამიანები შრომობენ მაღალ მთებშიც, ასრულებენ კოსმონურ სამუშაოებსაც. ადამიანის სხეულის გამძლეობის პრობლემების დროულად გადაჭრა აუცილებელია მფრინავებისთვის, კოსმოსის დამპყრობთათვის.

ავიღოთ, თუნდაც, ჭარბი რადიაციის საკითხი, რაზეც ასე ბევრი იწერება დღეს. უკვე აღარ იწვევს ეჭვს ის გარემოება, რომ სპორტი ადამიანს ეხმარება სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ გარე ზემოქმედებას. სპორტი საუკეთესო ფარია რადიაციის წინააღმდეგ.

ახალი პრობლემები ისახება სოციოლოგიის სფეროშიც: ფიზკულტურისა და სპორტის როლი კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში, სპორტის მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

გულდასმით შესწავლას მოითხოვს ფიზკულტურისა და სპორტის როლი წარმოებაში. ჩვენ უნდა დავადგინოთ ფიზკულტურის-მნიშვნელობა პროფესიულ ტექნიკურ მომზადებაში, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დამუშავებასა და მშრომელთა აქტიური დასვენების პირობების შექმნაში.

თავის მკვლევარებს ელის „სპორტისა და ეკონომიკის“ პრობლემა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ფიზკულტურული მოძრაობის ეკონომიური საფუძვლები.

სპორტი, როგორც სანახაობა, სპორტის ესთეტიკა, სპორტი და ხელოვნება, მისი ურთიერთკავშირი მუსიკასთან, ქორეოგრაფიასთან... უამრავი საკითხი შეიძლება წამოიჭრას.

● **გვითხარით ორიოდე სიტყვა უშუალოდ სპორტული ოსტატობის ამაღლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე?**

— ამ მხრივ უდიდესი მუშაობა გველის. ძალზე საინტერესოა, მაგალითად, ათლეტის სპორტული ფორმის შეგნებული მართვის, კვების, სპორტსმენის ფსიქოლოგიის პრობლემა. მეცნიერებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სპორტული ნაგებობათა სრულყოფის, სპორტსმენებისთვის საუკეთესო „იარაღის“ — ინვენტარის, სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მიწოდების საქმეში.

ჩვენ უთუოდ დაგვჭირდება დახმარება იმ ხალხისა, რომელსაც ადრე, ერთის შეხედვით, არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა სპორტთან, — მათემატიკოსების, კიბერნეტიკოსების, ელექტრო, ბიოფიზიკის, ბიოქიმიის, ბიონიკის, ლუტატისტიკის სპეციალისტებისა. აქედან კი გამომდინარეობს სამეცნიერო კადრების მომზადების, ფიზკულტურისა და სპორტის პრობლემებით მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ფართო წრის დაინტერესების ამოცანა.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურული მეცნიერების განვითარების საქმეს. ჩვენი ინსტიტუტისთვის 1967-1968 წლებში აიგება ახალი შენობები, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა განიხილოს ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა შტატის გაფართოების საკითხი.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ კიდევ უფრო ნაყოფიერად ვიშრომებთ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პრობლემების გადაჭრისთვის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲙᲠᲘᲚᲘ



ისინი ტყუპები არიან. სპორტშიც ერთ სახეობას — საბაიდარო ნიჩბოსნობას ეუფლებიან, მუდამ გულმოდგინედ ვარჯიშობენ და გამარჯვებაც ბევრჯერ უზეიმიათ. ბათუმის გემმშენებელი ქარხნის გუნდის წევრებმა, დებმა ოლღა და ირინა ტროინებმა მწვრთნელ ვ. ჩერნიშოვის ხელმძღვანელობით მალე აითვისეს ბაიდარის მართვის, ნიჩბების ჰარმონიულად და სწრაფად მოსმის ტექნიკა. დების ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანია მხოლოდ ის, რომ ოლღა II თანრიგოსანია, ირინას კი უკვე I თანრიგი აქვს. მაგრამ ეს ტყუპებს ხელს არ უშლის ერთნაირი წარმატებით გამოვიდნენ აჭარისა და საქართველოს შეჯიბრებებში. ტროინებმა ბათუმში ამას წინათ გამართულ ასპარეზობაშიც ისახელეს თავი — ჩემპიონები გახდნენ ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში.

სურათზე: ტროინები დისტანციაზე.

ფოტო ა. ედიგაროვისა.

ტრადიცია ალდგა

გორის რაიონში ქართული ჭიდაობის არა ერთი ცნობილი ოსტატი აღზრდილა. იყო დრო, როცა ყოველ სოფელს თავისი სარბიელი ჰქონდა, დილიდან საღამომდე ისმოდა დოლისა და ზურნის ხმა... მერე ეს ქარგი ტრადიცია თანდათან დავიწყებას მიეცა.

სულ ახლახან კი სასიხარულო ცნობა მოგვივიდა, ვარიანი ფალავანთა დიდ საასპარეზოდ იქცეო. აქ ყოველ შაბათ-კვირას იმართება ქართული ჭიდაობა და საასპარეზოდ მეზობელი რაიონებისა და სოფლების ფალავნებიც ჩამოდიან.

...ვარიანში რომ ჩავედით, ფალავნები და მათი გულშემატკივრები ის იყო იყრიდნენ თავს სარბიელის გარშემო. საღამოს 6 საათზე მოედანი ხალხით აივსო — ბიჭებო, დაუკარით, რაღას ელოდებით! — გაისმა შეძახილები. დოლისა და ზურნის ხმამ სისხლი აუჩქროლა ყმაწვილებს. მსაჯები მოდიან, მსაჯები! — წამოიძახა ვიღაცამ და სარბიელის ირგვლივ აღმართული ცოცხალი კედელი წამში გაიხსნა. ასპარეზობის მოთავენი და არბიტრები ტ. ურჯუმელაშვილი, გ. ლაგურაშვილი და ს. ტარუაშვილი სახელდახელოდ მოტანილ მაგიდას შემოუსხდნენ.

...ერთმანეთს შეხვდებიან ქარელის რაიონის სოფელ ხვედურეთის ფალავანი ბ. მსხალაძე და გორის რაიონის სოფელ კარალეთის რჩეული მოჭიდავე ვ. ტერტერაშვილი, — გამოაცხადა მსაჯმა და სარბიელზე ჩოხიანი ვაუკაცები შემოვიდნენ. თანასოფლელთა შეძახილებსა და მაყურებელთა ყიჟინაში ჭიდილს ერთ ხანს შედეგი არ მოჰყოლია. ბოლოს კი მაინც მსხალაძემ იმარჯვა და 4 წუთში სძლია მეტოქეს.

ახლა ახალდაბელი ო. მდინარაძე და კარალეთელი ვ. ადუაშვილი შეერკინენ ერთმანეთს. საკმაოდ გამოცდილმა ოსტატმა მდინარაძემ მხოლოდ ქულებით შეძლო მეტოქის დამარცხება.

ჩვენი ყურადღება მსაჯთა მაგიდასთან მოფუსფუსე მკვირცხლმა ყმაწვილმა მიიპყრო. იგი მსაჯებს მოჭიდავეთა სახელებს და გვარებს ეუბნებოდა, ზუსტად იცოდა, ვინ რომელი სოფლიდან იყო, ჭიდაობაში რისთვის მიეღწია. ეს ყმაწვილი ვარიანის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე მ. ბედოშვილი აღმოჩნდა. ქართული ჭიდაობის თავგამოდებულმა მოტრფიალემ სინანულით გვითხრა, ჩვენს სკოლაში ჭიდაობას გაცილებით ნაკლები ყურადღება ეჩქცევა, ვინემ სპორტის სხვა სახეობებსო. ჩვენი საუბარი მაყურებელთა ყიჟინამ დაფარა. შინდისელი ი. სიმონიშვილს ბეჭებზე დაუცია მეტოქე და ქომაგები გამარჯვებას ულოცავდნენ.

ასპარეზობა დიდხანს გაგრძელდა. იმ დღეს 40-ზე მეტმა ფალავანმა გამოსცადა ძალა. ბინდი რომ ჩამოწვა, სარბიელიც დაიცალა.

ქართული ჭიდაობა პირველ ყოვლისა, ვაუკაცური ჭიდილია. გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც მუდამ პატივით ეკიდებიან და ორთაბრძოლას ობიექტურად აფასებენ. სამწუხაროდ, ვარიანის პაექრობებს ერთი ნაკლი აქვს — კვალიფიცირებულ მსაჯთა უკმარობა. ამ ნაკლს კი ზოგჯერ არასასურველი შედეგი მოსდევს ხოლმე.

ქართული ჭიდაობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიოს ვარიანელ ენთუზიასტებს, კარგი იქნება, თუ იქ სპეციალისტებს მივავლინებენ და ადგილობრივ მსაჯებს კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარებიან. ისიც სათქმელია, რომ ფალავნებს ჩოხები არ ჰყოფნით საასპარეზოდ. გორისა და ქარელის რაიონის სპორტკავშირებმა ყოველმხრივ უნდა წაახალისონ და დახმარების ხელი გაუწოდონ სპორტის ამ ეროვნული სახეობის მოტრფიალეებს.

გ. თენგოშვილი.

სოფელი ვარიანი, გორის რაიონი.

ფეხბურთი

რამსეი ბოდიშს იხდის

ლონდონი. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სხდომაზე ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში იმ უტაქტო განცხადებისთვის, რომელიც მან ინგლის — არგენტინის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ გააკეთა და რომელშიც არგენტინელი ფეხბურთელები ცხოველებს შეადარა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ბოდიშის წერილობითი ასლი ფიფა-ს გაუგზავნა.

(საკ. ინფ.).

„სანტოსი" — „სელტიკი" — 8 ოქტომბერს

ბრაზილიის „სანტოსმა" მიიღო შოტლანდიის ჩემპიონის — გლაზგოს „სელტიკის" მიწვევა და 8 ოქტომბერს მას გლაზგოში შეხვდება.

ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა საამისოდ 50 ათასი გირვანქა სტერლინგი მოითხოვეს.

გლაზგოდან ბრაზილიელები ინგლისში ჩავლენ და იქ ორ შეხვედრას გამართავენ საკლუბო გუნდებთან.

(საკ. ინფ.).

სკიაფინოს რეკორდი

როგორც ცნობილია, მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში პორტუგალიელმა ეუსებიომ მეტოქის კარში 4 ბურთი გაიტანა. ეს მოხდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან შეხვედრაში. მოზამბიკელი ზანგის ოსტატურმა თამაშმა პორტუგალია სამარცხვინო წაგებას გადაარჩინა (კსდრ-ს გუნდი ამ მატჩს იგებდა — 3:0).

მაგრამ ეუსებიოს მიღწევა მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდად მაინც არ ჩაითვლება. ამ თავისებური რეკორდის ავტორია ურუგვაის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ხუან სკიაფინო, რომელმაც 1950 წელს ბოლივიის გუნდის კარში 5 ბურთი გაიტანა. შეხვედრა, რომელიც ბრაზილიის ქალაქ ბელუ-ორიზონტში ჩატარდა, ურუგვაელებმა გამანადგურებელი ანგარიშით მოიგეს — 8:0.

ავტომატი საჭადრაკო სეანსისთვის

წარსულიდან

XVIII საუკუნის დამლევს ევროპა გააოცა ავსტრიელი კემპელენის ჭადრაკის მოთამაშე ავტომატმა. მისი დამმარცხებელი არავინ აღმოჩნდა (თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამ საოცარ „ოსტატს" მხოლოდ მეფეები და პრინცები მეტოქეობდნენ). კემპელენის გამოგონებას საიდუმლოების ფარდა აეხადა მხოლოდ 30 წლის შემდეგ, როცა მისმა ახალმა მფლობელმა რამდენიმე ათეული ათას დოლარად გაყიდა იგი. თურმე ავტომატში იჯდა და თამაშობდა ცოცხალი მოჭადრაკე, რომელსაც უცხო თვალისგან სარკეების კომბინაცია მალავდა.

ავტომატის იდეამ დააინტერესა მსოფლიოს მეორე ჩემპიონი ჭადრაკში ემ. ლასკერი, რომელიც უაღრესად განათლებული კაცი იყო. სახელოვანმა დიდოსტატმა საკუთარი ხელით ააგო ავტომატი, რომელიც ერთდროულად 20 პარტიას თამაშობდა. ლასკერმა კემპელენის ნაცად ხერხს მიმართა: — ავტომატში იჯდა მოჭადრაკე, რომელიც ერთდროულად ყველა დაფას ხედავდა სარკეების საშუალებით.

ეს გამოგონება პრაქტიკულად არ გამოუყენებიათ თვით ემ. ლასკერის მიზეზით. თუმცა ავტომატის საჭადრაკო სეანსი შესანიშნავ საცირკო ატრაქციონად გამოდგებოდა.

სპორტი ეროვნული ბიბლიოთეკა ხელოვნებაზე

„თეთრები და შავები" სცენაზე

გენიალური რუსი მოჭადრაკის ა. ალიოხინის ცხოვრება მიმზიდველი მოთხრობაა ადამიანზე, რომელმაც მთელი სიცოცხლე თავდავიწყებით ემსახურა საჭადრაკო ხელოვნებას. გატაცებით იკითხება დიდოსტატ ა. კოტოვის რომანი „თეთრები და შავები", რომელიც მან ამ დიდ მოჭადრაკეს უძღვნა.

მოსკოვის ე. ვახტანგოვის სახელობის დრამატიულმა თეატრმა წლევანდელ სეზონში დასადგმელად მიიღო ა. კოტოვის რომანის მიხედვით დაწერილი პიესა. თეატრს გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე მაყურებელს უჩვენოს „თეთრები და შავების" პრემიერა. ა. ალიოხინს განასახიერებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი გრიცენკო.

ს. გლიგორიჩი კინოში

საათი ულმობლად ითვლის წამებს, გადამწყვეტი სვლის ვარიანტები კი თავში არ მოდის. 14 წლის სვეტოზარი კიდევ და კიდევ ამოწმებს საბედისწერო სვლას „ლგ6"-ს. ამ დროს ყურში ჩაესმა მთავარი მსაჯის ხმა: „დაისვენე, მოიკრიბე ძალლონე. დარწმუნებული ვარ, გლიგორიჩ, სწორედ შენ მოხვდები ფინალში..."

ეს მოხდა 1937 წელს ბელგრადის ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ტურნირში.

სამი ათეული წლის შემდეგ ეს ეპიზოდი აღადგინა ცნობილმა იუგოსლავიელმა კინორეჟისორმა მ. ფეხიმოვიჩმა მოკლემეტრაჟიან ფილმში „ლაზიერი ვგ6", რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის მოწინავე დიდოსტატ ს. გლიგორიჩს.

1937 წლის ტურნირის მსაჯი მართალი გამოდგა: სვეტოზარი ბელგრადის ჩემპიონი გახდა, 2 წლის შემდეგ კი — იუგოსლავიისა. თავისი ქვეყნის უძლიერესი მოჭადრაკის ტიტული მან შემდგომ კიდევ თერთმეტჯერ მოიპოვა.

ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატ გლიგორიჩს ჭადრაკის ყველა მოყვარული იცნობს. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ სვეტოზარი ფეხბურთის დიდი მცოდნე და გულშემატკივარია და სპორტში თავისი გზა ფეხბურთის მინდვრიდან დაიწყო. გლიგორიჩი — ნიჭიერი ჟურნალისტია, საჭადრაკო ხელოვნებაზე რამდენიმე წიგნის ავტორია.

არც ის იცის ყველამ, რომ ომის წლებში ს. გლიგორიჩი იყო პარტიზანული რაზმის კომისარი და ფაშისტებთან ომში მამაცობისთვის საბრძოლო ორდენებით არის დაჯილდოებული, მიღებული აქვს კაპიტნის სამხედრო წოდება.

ი. კორნილოვი.

საქართველოს ნიჭიერ ველოსიპედისტ-სპრინტერთა რიგებს კიდევ ერთი ოსტატი შეემატა. ზესტაფონელმა შ. კაცაძემ წლეულს გამოცდა კარგად ჩაბარა ტულაში, სადაც სსრ კავშირის უძლიერეს ათლეტთა ტურნირი ტარდებოდა. კაცაძემ აქ რამდენიმე ცნობილი ოსტატი დაამარცხა, III საპრიზო ადგილი დაიკავა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. ზესტაფონელმა არც ამას წინათ თბილისის ტრეკზე რუმინელებთან მატჩში შეირცხვინა თავი. პირველი იყო ადგილიდან 500 მეტრზე გიტში და გუნდთან ერთად გამოდევნებით რბოლაც მოიგო. შ. კაცაძე ახლა ენერგიულად ემზადება მომავალი შეხვედრებისთვის, რომელთა შორის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაა.

სურათზე: ლ. კაცაძე.

ფოტო ვ. გენგიურისა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ბაკურიანი
ბალნეოლოგიური
კურორტი

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.